# იდეების მართვის სისტემა

*ჯულიეტა გაგლოშვილი*

**Julieta.gagloshvili@tsu.ge**

უნივერსიტეტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში იდეების მართვა წარმოდგენილია, **როგორც კორპორაციაში ინოვაციური საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.** იდეების მართვის სისტემა (An idea management system – IMS ) ეს არის აპლიკაცია, რომლის გამოყენებით, წინასწარ დაგეგმილი, კონტროლირებადი და მეთოდურად გამართული პროცედურების გამოყენებით, იდეა, მისი ინიცირების ეტაპიდან გადის ანალიზის, დამუშავების, შეფასების და სურვილის შემთხვევაში გაზიარება - გასაჯაროების ეტაპებს.

**იდეების მართვის ტექნოლოგია** წარმოადგენს ახალი ტიპის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ორგანიზაციას ეხმარება ახალი იდეების შეგროვებაში, მათ შეფასებაში და ბაზარზე გასატანად მომზადებაში. ამ ტიპის პროგრამული პაკეტების გამოყენებით ეს სამუშაოები სრულდება სწრაფად, ეფექტიანად და შედეგიანად. და რაც მთავარია სისტემა იძლევა რისკების შეფასების საშუალებას.

მიუხედავათ მათი შექმნის ხანმოკლე ისტორიისა, პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე დღეს იდეების მართვის სისტემების სიმრავლეა. არსებული პროგრამული პაკეტები ხასითდდება სხვადასხვა ტიპიური მახსიათებლებით და შესაძლებლობებით. მოხსენებაში საუბარი იქნება იდეების მართვის სისტემების ევოლუციაზე, ტიპიურ მახასიათებლებლებზე და დღეს გავრცელებუ საუკეთესო აპლიკაციებზე.

**საკვანძო სიტყვები:** იდეების მართვის სისტემა, იდეების მართვის ტექნოლოგია.